

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ლუკექსპოჯორჯია“ (ს.კ. 404396514)

2021 წლის საანგარიშო პერიოდისთვის.

30 სექტემბერი 2022 წ.

კომპანიის შესახებ:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლუკექსპოჯორჯია“ რეგისტრირებულია 2011 წლის 10 მარტს მისამართზე: თბილისი, ო. დგებუაძის ქუჩა #1;
2. საიდენტიფიკაციო კოდი: 404396514;
3. დამფუძნებლები: ზაალ სამხარაძე (პ.ნ. 01005001671); მარიამ გრძელიძე (პ.ნ. 01005000956)
4. გენერალური დირექტორი: ზაალ სამხარაძე (პ.ნ. 01005001671);
5. დაქირავებულ პერსონალთა რაოდენობა 2021 წელს შეადგენდა საშუალოდ 26 (ოცდაექვსი) თანამშრომელს;
6. საქმიანობის ძირითადი სფერო: სამედიცინო პრეპარატების ექსპორტი - საბითუმო რეალიზაცია; კომპანია მიმდინარე წლის 01 სექტემბრამდე ეწეოდა აგრეთვე სასტუმრო მომსახურეობის საქმიანობას;
7. კომპანიას ამ ეტაპზე არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

ანგარიშგების შესახებ:

1. ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მსს ფასს - ის (ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოთათვის) მოთხოვნის შესაბამისად;
2. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (01.01.2021 – 31.12.2021);
3. კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს;
4. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში;
5. დაცულია აღრიცხვა - ანგარიშგების ფუნდამენტური პრინციპი - დარიცხვის მეთოდი;
6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები კომპანიისთვის აღრიცხულია მიმდინარე ანგარიშსწორების ანგარიშზე და სალაროში;
7. შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან მისაღები/და ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის გათვალისწინებით;

8. რეალიზებული პროდუქციის უკან მობრუნება და ფასდათმობა აღრიცხულია შემოსავლის შემცირების გზით, რეალიზაციის აღიარებასთან ერთად;
9. მარაგების თვითღირებულება გადათვლილია MIDL მეთოდით;
10. მარაგების სახით აღრიცხულია გასაყიდად გამზადებული საქონელი და ის მატერიალური აქტივი, რომელიც გამოყენებულ იქნება საწარმოო საქმიანობაში. აღრიცხვა წარმოებს უწყვეტი მეთოდით. საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის არსებული სასაქონლო ფასეულობები ფიქსირებულია მისი თავდაპირველ თვითღირებულებასა და ამ დროისთვის არსებული რეალური ფასიდან უმცირესით;
11. ძირითადი საშუალებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისთვის გამოყენებულია თვითღირებულების მოდელი. ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით მისი ექსპლუატაციაში შესვლის თვიდან, საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული საშუალებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ითვლება ნულის ტოლად;
12. არამატერიალური აქტივი, კერძოდ, მარაგების აღრიცხვის ელექტრონული პროგრამა, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადა განუსაზღვრელია, არ ამორტიზდება;
13. ვინაიდან კომპანიის მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ მომდევნო საანგარიშო პერიოდი არ იქნება შეზღუდული საქმიანობის მაშტაბებში, გათვალისწინებულია მსს ფასს - ის დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ანგარიშდება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით. მხედველობაში გვაქვს, აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებათა დაფარვის პროცესი ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას;
14. საგადასახადო აქტივი პირადი აღრიცხვის ბარათზე აღიარებულია მოკლევადიან აქტივად, ვინაიდან მისი გამოყენება ნავარაუდევის მომდევნო საანგარიშო წელსვე;
15. საექვო მოთხოვნები კომპანიის მიერ განიხილება ინდივიდუალურად, რისკების გონივრული შეფასების საფუძველზე;
16. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო აღიარებულია ხარჯებად შრომითი კონტრაქტის საფუძველზე და განხილულია, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება;
17. კომპანია 2019 წლიდან ჩაერთო პროექტში „უმასპინძლე საქართველოში“, რის ფარგლებშიც ახორციელებს სასტუმროს მშენებლობას ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში. აგრეთვე სარგებლობს სს „პროკრედიტ ბანკის“ კრედიტით 2018 წლის სექტემბრიდან, რომელიც ანგარიშგებაში ასახულია გრძელვადიანი სესხის სახით;
18. კომპანია სარგებლობს ე.წ. ესტონური მოდელით, შესაბამისად, იხდის გადახდის წყაროსთან დაკავებულ გადასახადს, რომელიც ძირითადად წარმოიშვება სახელფასო განაცემებიდან და პარტნიორებზე განაწილებული

დივიდენდებიდან, დამატებითი ღირებულების გადასახადს, მოსაკრებელს ბუნებრივი რესურსით სარგებლობისთვის და მოგების გადასახადს. ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიას არ გააჩნია დროებითი სხვაობები საგადასახადო ვალდებულებებსა და საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, არ ფიქსირდება გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადი;

19. სავალუტო ანგარიშთა გადაფასებისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის კონკრეტული მომენტისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსი.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
შპს "ლუქსპოჯორჯია" 404396514	საანგარიშო პერიოდის ბოლოს		
	2021	2020	2019
აქტივები			
ფული საღაროსა და საბანკო ანგარიშებზე	637005	121463	67383
სავაჭრო მოთხოვნები (დებიტორები)	1164338	119803	652887
გადახდილი ავანსები	1018993	365863	62288
სასაქონლო მატერიალური მარაგები	0	2153	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	77014	98194
სულ მოკლევადიანი აქტივები	2820336	686296	880752
ძირითადი საშუალებები	7885527	7029642	6256882
არამატერიალური აქტივები	4403	4403	4403
ბიოლოგიური აქტივები	0	89805	89805
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	7889930	7123850	6351090
სულ აქტივების ჯამი	10710266	7810146	7231842
კაპიტალი და ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	379071	288665	137183
საბიუჯეტო გადასახადები	24910	0	0
მიმდინარე ვალდებულებები თანამშრომლებთან	1753	13070	48000
სესხის მოკლევადიანი ნაწილი	0	10000	0
სესხის გრძელვადიანი ნაწილი	3858453	2820336	3430909
სულ მიმდინარე ვალდებულებები	4264187	3132071	3616092
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	4745079	2977075	1914750

ლუქსპოჯორჯია
(POGEORG)
04396514
LUKEXPOGEORG

სხვა რეზერვები	0	0	0
კაპიტალი და რეზერვები	1701000	1701000	1701000
სულ კაპიტალი და მოგება/ზარალის ნაწილი	6446079	4678075	3615750
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	10710266	7810146	7231842

მოგება-ზარალის ანგარიშგება

შპს "ლუკექსპოჯორჯია" 404396514	საანგარიშო პერიოდი	
	2021	2020
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	8911397	3187363
საპროცენტო შემოსავლები (მოთხოვნამდე ანაბრიდან)	0	15
სხვა აღიარებული შემოსავლები (მ.შ. არასაოპერაციო)	482203	228290
სულ შემოსავლები	9393600	3415668
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3811708	1518819
საპროცენტო ხარჯები	419030	307055
დარიცხული ხელფასები	522490	212529
ცვეთა	200163	26436
სხვა ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები	1632588	498892
უარყოფითი საკურსო სხვაობა	0	0
სულ ფინანსური დანახარჯები	6585979	2563731
მიმდინარე წლის შედეგი დაბეგვრამდე	2807621	851937



ფულადი ნაკადის მოძრაობა

შპს "ლუქსპოჯორჯია" 404396514	საანგარიშო პერიოდი	
	2021	2020
საწყისი ფულადი სახსრები საღაროსა და ანგარიშსწორების ანგარიშზე	121463	67383
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	515542	54080
ინვესტიციები	0	0
კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული ეფექტი	0	0
საბოლოო ფული	637005	121463

ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი:

ზ. სამხარაძე (დირექტორი)

რ. სიჭინავა (ფინ. მენეჯერი)

